

ოჯახის გაძლიერების პროგრამების განხორციელების  
თავისებურებები საქართველოს მაგალითზე:

თანამონაწილეობითი კვლევა

ქეთევან ლეკიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი MSW; PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ქეთევან ლევიშვილი ----- 26.06.2017

## აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი მოიცავს რეინტეგრირებული და დღის ცენტრის ბავშვების ცხოვრების შესწავლას, კვლევის თანამონაწილეობითი მეთოდის გამოყენებით. კვლევის მიზანია ოჯახის გაძლიერების პროგრამაში ჩართული ბავშვების საჭიროებების, ინტერესების, პრობლემების, ფსიქო-სოციალური მდგომარეობის გაგება. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს მშობლებმა/ადმრდელებმა, რომ უკეთ დაგვეჩახა რა პრობლემების, სირთულეების და საჭიროებების წინაშე დგანან, როცა საქმე ეხება ბავშვის განათლებას, ჯანმრთელობას და სოციალურ უზრუნველყოფას.

კვლევაში რეინტეგრირებული და დღის ცენტრის ბავშვებთან გამოყენებულია Photovoice-ის მეთოდი, ნახევრად სტრუქტურირებული პირისპირი ინტერვიუ და ბედნიერებისა და საკუთარ თავში დარწმუნებულობის დონის განმსაზღვრელი შკალები. მშობლებთან/ადმრდელებთან ჩატარდა პირისპირი ინტერვიუ სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით და გამოვიყენეთ ეკორუქა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტები :

- ოჯახის გაძლიერების პროგრამებს მნიშვნელოვანი როლი უკავია ბავშვის ოჯახში შენარჩუნებაში. უნდა მოხდეს ამ პროგრამების განვითარება და მშობლების მხარდამჭერი სერვისების შექმნა.
- რეინტეგრირებული ბავშვების და მათი მშობლების მატერიალური მოთხოვნილებები უფრო მაღალია, ვიდრე დღის ცენტრის.
- დღის ცენტრის მშობლები მაქსიმალურად იყენებენ ყველა შესაძლო რესურს, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ოჯახის გაძლიერებას და არ განიცდიან სტიგმატიზაციას. ორიენტირებულნი არიან განათლებაზე და მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დღის ცენტრს და მასწავლებლებს.

## ABSTRACT

The presented paper includes the study of life of reintegrated and day center children applying the participation method of the study. The purpose of the study is identification of the needs, interests, problems, psycho-social condition of children included in family strengthening program. Parents/teachers took part in the study in order to make clear the problems, difficulties and needs they face when the matter is education, health and social security of a child.

Photovoice method is applied to the reintegrated in the study and day center children, semi-structured face-to-face interview and the scales determining happiness and self-confidence. Face-to-face interview has been held to parents applying structured query and we have applied eco-map.

The following important aspects have been shaped in the result of the study:

- The programs of family strengthening play an important role in maintenance of the family of a child. Such programs must be developed and parents support services must be created.
- Material requirements of reintegrated children and their parents are higher than those of the day center.
- Parents of day center maximally use all off possible resources which might support to strengthening of the family and does not suffer from stigmatization, are oriented on education and day center and teachers occupy very important role in their life.